



ქაღაჩე ქუთაისის პენიტენციური ტატილის V ბონგვევის სუკრუბუდროს სუქბონუბრობის პეფუნსუბუ

2017 ბერი

შესავალი	2
თავი 1. ძირითადი მიგნებები	3
თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის საკრებულოს შესახებ	5
თავი 3. ზოგადი სტატისტიკა	8
თავი 4. მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები	11
4.1. სახელმწიფოსთვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემა	11
4.2. მუნიციპალიტეტის ქონების ეკლესიისთვის გადაცემა	11
4.3. პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების შესახებ თანხმობის მიცემა და მუნიციპალიტეტის სახელით დადებული ხელშეკრულებების დამტკიცება	12
4.4. ფიზიკური პირის ან კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის მუნიციპალიტეტის ქონების გადაცემის თაობაზე თანხმობა	12
4.5. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სანჯისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის სანჯისი საფასურის განსაზღვრის წესების დადგენა	13
4.6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნება და რეორგანიზაცია	13
4.7. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნება	13
4.8. ქონების გადასახადისა და მოსაკრებლის შემოღება	14
4.9. საკრებულოს მიერ მიღებულ სამართლებრივი აქტებზე ზედამხედველობის განხორციელება	14
თავი 5. კონტროლის ფუნქციის განხორციელება	15
5.1 ანგარიშების მოსმენა	15
5.2 შეკითხვის უფლებამოსილების გამოყენება	16
5.3 ბიუჯეტის კონტროლი	17
5.4 დამოუკიდებელი აუდიტი	18
თავი 6. ინფორმაცია საკრებულოს წევრების შესახებ და მათი აქტივობა	19
თავი 7: ქალების მონაწილეობა საკრებულოს საქმიანობაში	22
თავი 8. მოქალაქეთა ჩართულობა	23
თავი 9. კომისიების, საბჭოებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების საქმიანობა	24
9.1. საკრებულოს კომისიები	24
9.2. სათათბირო ორგანო	27
9.3. დროებითი სამუშაო ჯგუფი	27
თავი 10. საკრებულოს თანამდებობის პირთა კავშირი ბიზნესთან, არადეკლარირებული ქონება და შეუთავსებელი საქმიანობა	28
პრობლემები და რეკომენდაციები	31

შესავალი

“საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ” შეისწავლა 2014 წლის 14 ივლისიდან 2017 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით (შემდეგში: საანგარიშო პერიოდი) ქალაქ ქუთაისის საკრებულოს მიერ განეული საქმიანობა.

ანგარიშის ფარგლებში წარმოგიდგენთ ინფორმაციას საკრებულოს საქმიანობას შემდეგი მიმართულებებით:

- მიღებული მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები;
- კონტროლის ფუნქციის განხორციელება;
- კომისიების, საბჭოებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების საქმიანობა;
- საკრებულოს თანამდებობის პირთა კავშირი ბიზნესთან და შეუთავსებელი საქმიანობა.

ანგარიში მოიცავს ასევე ძირითად მიგნებებსა და რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინებაც დაეხმარება 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ დაკომპლექტებულ მეექვსე მონვევის საკრებულოს მომავალ საქმიანობაში.

ანგარიში ეფუძნება საკრებულოდან გამოთხოვილ ინფორმაციასა და ჩვენი ორგანიზაციის დაკვირვებებს.

თავი 1. ძირითადი მიზნები

ქუთაისის მუნიციპალიტეტის V მონვევის საკრებულოს საქმიანობის დადებითი ტენდენციები

ქუთაისის მუნიციპალიტეტის V მონვევის საკრებულოში ჩატარდა 71 სხდომა. **კვორუმის არარსებობის გამო არ ჩაშლილა საკრებულოს არც ერთი სხდომა.**

აღსანიშნავია, რომ ქუთაისის საკრებულო სხდომების პირდაპირი ეთერით ტრანსლირებას ახორციელებდა სოციალური ქსელის მეშვეობით, ამასთან, ქუთაისის საკრებულოს აპარატი აღრიცხავდა როგორც საკრებულოს წევრის მიერ მოქალაქეთა მიღებისას დასმულ საკითხებს, ასევე საანგარიშო პერიოდში საკრებულოს სხდომაზე სიტყვით გამომსვლელ მოქალაქეთა რაოდენობას.

მიუხედავად ამ დადებითი ტენდენციებისა, საკრებულოს საქმიანობაში გამოიკვეთა პრობლემური ტენდენციები, რომელთა შესახებაც წარმოგიდგინებთ როგორც მიგნებებს, ასევე რეკომენდაციებსაც.

სამართლებრივი აქტების მიღების პროცესი

- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა **71** სხდომა, აქედან რიგგარეშე იყო **35** სხდომა.
- საკრებულოს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში **გენდერული თანასწორობის საბჭო არ შეუქმნია**, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულის ვალდებულებას ითვალისწინებდა კანონმდებლობა.¹
- საკრებულოს არცერთ კომისიას განსახილველი საკითხების შესაბამისად ექსპერტი ან სპეციალისტი არ მოუწვევია.
- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე გაცემულია სულ 133 განკარგულება, საიდანაც სამი განკარგულება ეხებოდა საქართველოს პარლამენტის ქუთაისის მაჟორიტარი წევრების, **დიმიტრი მხეიძის, კობა ნარჩემაშვილისა და გენადი მარგველაშვილის** ბიუროებისათვის **უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით** ქონების გადაცემის საკითხს.

ანგარიშვალდებულება

- საკვლევ პერიოდში პრობლემურ საკითხად გამოიკვეთა საკრებულოსა და კომისიის სხდომებზე საკრებულოს წევრების დასწრების საკითხი. კერძოდ, სამი წლის განმავლობაში, ყველაზე მეტი სხდომა გააცდინა:
 - გიორგი უკლებამ** (“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”) - **50** სხდომა;
 - დავით გოგისვანიძემ** (“ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის”) - **43** სხდომა;
 - ბესიკ ბრეგაძემ** (“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”) - **31** სხდომა;
 - სამსონ გუგავამ** (“ლეიბორისტული პარტია”) - **29** სხდომა.

¹ “გენდერული თანასწორობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-13-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტის მიხედვით: მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის მუნიციპალურ გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო.

- კვლევის პროცესში გამოიკვეთა 4 თანამდებობის პირის მიერ ქონებრივი დეკლარაციის არასრულად შევსების ფაქტი. კერძოდ:
 - **დავით დვალი** - “ქართული ოცნება” იგი შპს “დტბ ინვესტის” წილის მესაკუთრეა, რომლის შესახებაც არ მიუთითა დეკლარაციაში.
 - **ნიკოლოზ ლატარია** - “ქართული ოცნება”; მას 2017 წლის სექტემბერში შევსებულ დეკლარაციაში არ აქვს მითითებული შპს “ნიკოლი 9“-ის და შპს “ფრემ ფუდის” წილების შესახებ.
 - **თეიმურაზ ნადირაძე** - “ქართული ოცნება”; იგი “შპს დასავლეთ საქართველოს ნეირორეაბილიტაციის ცენტრი თემიდა-97-ს” 50% წილის მესაკუთრეა. მას აღნიშნული შპს-ს შესახებ არ მიუთითებია 2017 წლის ოქტომბერში შევსებულ დეკლარაციაში.
 - **ირმა პეტრიაშვილი**. - “ქართული ოცნება”; მან 2017 წლის ივნისში დააფუძნა შპს “ეროვნული მოძრაობის მუზეუმი“, რომლის 100% წილის მესაკუთრე და დირექტორი თავადაა. ის ასევე გახლავთ “შპს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კოლეჯის” მენილე და **დირექტორი**; არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი შპს-ს შესახებ ინფორმაცია არ აქვს 2017 წლის სექტემბერში შევსებულ დეკლარაციაში მითითებული.

კონტროლის ფუნქციის განხორციელება

- საკრებულოს მხრიდან **საზედამხედველო ფუნქციების განხორციელება სუსტია. არცერთხელ არ მომხდარა საკრებულოს სხდომებზე რიგგარეშედ ანგარიშვალდებული პირების დაბარება.**
- საკრებულომ კონტროლის კონკრეტული მექანიზმების განხორციელების შესახებ **ინფორმაცია არ მოგვანოდა** (მაგალითად, **ინტერპელაციის** გამოყენების შესახებ). სხვა შემთხვევებთან დაკავშირებითაც (**ანგარიშვალდებული პირების დაბარება, ბიუჯეტის შესრულების კონტროლის** მიზნით განხორციელებულ მოქმედებები) კონკრეტული ინფორმაცია არ მოგვანოდეს.
- შეკითხვის უფლებით საკრებულოს **25 ნევრიდან 8 ნევრმა** ისარგებლა და საკრებულოს ნევრებმა სამი წლის განმავლობაში **19-ჯერ** გამოიყენეს კითხვის/შეკითხვის დასმის უფლება, აქედან ყველაზე მეტი შეკითხვით მიმართეს:
 - **ბესიკ ბრეგაძემ** (“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”) - 10 შეკითხვა
 - **ნათო ქათამაძემ** (“ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო”) - 4 შეკითხვა.
- საანგარიშო პერიოდში ქუთაისის საკრებულოს მიერ მხოლოდ ერთხელ - 2017 წლის 11 აგვისტოს იქნა მიღებული განკარგულება ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების შესახებ.

გამჭვირვალობა

- გამჭვირვალობის და ღიაობის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას ქუთაისის საკრებულო, კერძოდ **არ არსებობს ქუთაისის საკრებულოს დამოუკიდებელი ვებგვერდი**, სადაც დაინტერესებულ პირს ექნება შესაძლებლობა გაეცნოს საკრებულოს კონკრეტული აქტივობების შესახებ ინფორმაციას. ქუთაისის მერიის ვებგვერდზე საკრებულოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების შესახებ მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია იყო მითითებული.
- აღსანიშნავია, რომ ქუთაისის საკრებულო სხდომების პირდაპირ ტრანსლირებას ახდენდა სოციალური ქსელის მეშვეობით
- საანგარიშო პერიოდში **საკრებულოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა 25 მოქალაქე.**
- 2015-2016 წლებში ქუთაისის საკრებულოში არც ერთი პეტიცია არ იყო რეგისტრირებული.
- საკრებულოს მიერ არ იქნა მოწოდებული ინფორმაცია **მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობისა და ავტორების შესახებ**, რამაც შეუძლებელი გახადა საკრებულოს ცალკეულ ნევრთა აქტივობის შეფასება, ასევე არ იყო მოწოდებული კონკრეტული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენჯერ მოიწვიეს საკრებულოს ნევრებმა ანგარიშვალდებული პირები და გამოუცხადებლობის შემთხვევაში, რა რეაგირება მოყვა აღნიშნულს.

თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის საკრებულოს შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს, რომელიც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი წესით ახორციელებს თვითმმართველობას ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში, აგრეთვე კანონით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს აღმასრულებელი ორგანოს - მერიის და მერიის თანამდებობის პირების საქმიანობას, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და საკრებულოს რეგლამენტით მისთვის განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.


ქალაქ ქუთაისის V მოწვევის საკრებულო შედგებოდა 25 წევრისაგან, რომელთაგან 10 წევრი არჩეული გახლდათ ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების მიხედვით, ხოლო დანარჩენი 15 წევრი - პროპორციული წესით.

2014 წელს თვითმმართველობის არჩევნების შედეგების მიხედვით მანდატების რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა

დიაგრამა 1. მანდატების გადანაწილება

მაჟორიტარული წესით არჩეული (ქართული ოცნება) 10

პროპორციული წესით არჩეული 15




საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადანყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, საკრებულო თავისი შეხედულებებისამებრ ქმნის კომისიას. ქალაქ ქუთაისის საკრებულოში საკრებულოს უფლებამოსილების ვადით შექმნილი იყო **5** კომისია:

1. საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისია
2. იურიდიულ საკითხთა კომისია
3. ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის საკითხთა კომისია
4. ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია
5. კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის კომისია

ქუთაისის საკრებულოში **5** ფრაქცია ფუნქციონირებდა:

6. “ქართული ოცნება”
7. “ქართული ოცნება - მრეწველები”
8. “ქუთაისისთვის”
9. “ქართული ოცნება - კონსერვატორები”
10. “სამართლიანობა”



ფრაქცია “ქართული ოცნება” შედგებოდა 7 წევრისგან: გრიგოლ ქობალიანი, გალაქტიონ ტოროშელიძე, მურმან გუბელაძე, ირმა პეტრიაშვილი, თეიმურაზ ნადირაძე, დავით დვალი, ტარიელ მეტონიძე .

ფრაქცია “ქართული ოცნება - მრენველები” გაუქმდა 2016 წლის 28 სექტემბერს და 2016 წლის 26 ოქტომბერს თავიდან დარეგისტრირდა. 2017 წელს ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობიდან გადარჩეულ იქნა ლაშა გვენეტაძე, რომელსაც ფრაქციის წევრის უფლებამოსილება შეუწყდა 2017 წლის 11 აგვისტოს. 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებამდე ფრაქცია შედგებოდა შემდეგი წევრებისგან: დოლიძე ვიქტორი, ყანჩელი ბექა, ქეღბაძე იანი ლევა.

ფრაქცია “ქუთაისისთვის” აერთიანებდა სამ წევრს: დავით ნიტაიშვილი, ჯანაშია დავითი, გუგავა სამსონი.

ფრაქციის “ქართული ოცნება - კონსერვატორები” წევრები იყვნენ: კიკვაძე თეიმურაზი, ლატარია ნიკოლოზი, ლომინაძე ბაბა.

ფრაქცია “სამართლიანობა” ფრაქცია “ეროვნული ფორუმი - თავისუფალი დემოკრატიების” გაუქმების შემდეგ იგივე შემადგენლობით ჩამოყალიბდა: გაბადაძე გელა, წინწკილაძე რობიზონი, დვალიშვილი კახაბერი.

აქვე აღსანიშნავია, რომ **ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”** 2017 წლის 22 თებერვალს გაუქმდა. მათ ახალი ფრაქცია არ შეუქმნიათ.


თავი 3. ზოგადი სტატისტიკა

3.1. საკრებულოში ჩატარებული სხდომების რაოდენობა


ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა საკრებულოს **71** სხდომა, აქედან 35 იყო რიგგარეშე. ქუთაისის საკრებულოში **25 რიგგარეშე სხდომა მოწვეული იქნა მერის ინიციატივით**, ხოლო დანარჩენი 10 სხდომის მოწვევის ინიციატორები იყვნენ მერი და საკრებულოს თავმჯდომარე. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე მოწვევის პერიოდში, **ქვორუმის არარსებობის გამო, საკრებულოს სხდომების ჩაშლის შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.**

მერის ინიციატივით მოწვეულ რიგგარეშე სხდომებზე ძირითადად განიხილებოდა ქუთაისის 2014 წლის ბიუჯეტში, ასევე სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანისა და ცალკეული მოქალაქეებისათვის და ა.ა.ი.პ.-ებისათვის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების გადაცემის საკითხები.

დიაგრამა 3. საანგარიშო პერიოდში ქუთაისის საკრებულოში ჩატარებული სხდომების რაოდენობა




დიაგრამა 4. საანგარიშო პერიოდში ჩატარებული რიგგარეშე სხდომების რაოდენობა წლების მიხედვით



3.2. საკრებულოს წევრების სახელზე შემოსული განცხადებები

2014 წლის ივლისიდან 2017 წლის აგვისტოს მონაცემების მიხედვით საკრებულოს წევრების სახელზე ჯამში **2 761** განცხადება დარეგისტრირდა. აქედან **2 589** განცხადებაზე მოახდინეს რეაგირება. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში განცხადებით მიმართეს საკრებულოს **14** წევრს. ყველაზე მეტი - **1 311** განცხადების ადრესატი იყო საკრებულოს თავმჯდომარე დავით დვალი, ხოლო **830** განცხადებით მიმართეს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს ნიკოლოზ ლატარიას.

დიაგრამა 5. საკრებულოს წევრებისადმი მიმართვების რაოდენობა



თავი 4. მნიშვნელოვანი სამართლებრივი აქტები

4.1. სახელმწიფოსთვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემა

საკვლევი პერიოდის განმავლობაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში **16-ჯერ** იქნა მიღებული გადაწყვეტილება **მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ**. სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადაეცემოდა როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონება. მოძრავ ქონებასთან მიმართებით უნდა აღინიშნოს ავტომობილების გადაცემის ფაქტები. მაგალითად, 2015 წელს საკრებულოს მიერ რიგგარეშე სხდომაზე მიღებული N103 განკარგულების საფუძველზე სახელმწიფოს საკუთრებაში გადაეცა 40 724 ლარად ღირებული ავტომობილი TOIOTA HILUX 2.5. TD, ამავე წელს სახელმწიფოს საკუთრებაში გადავიდა კიდევ ორი ავტომობილი: TOYOTA LANDCRUISER PRADO და TOYOTA HILUX.

4.2. მუნიციპალიტეტის ქონების ეკლესიისთვის გადაცემა

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ” 2017 წლის 9 ივნისს გამოაქვეყნა კვლევა: “მუნიციპალური ფინანსები და ქონება საჩუქრად ეპარქიებს - 2013-2017 წლების მონაცემები იმერეთში”. აღნიშნული კვლევის მიხედვით გამოიკვეთა, რომ **ქუთაისის მერიის მიერ 2013-2017 წლის 20 მარტის ჩათვლით, ქუთაის-გაენათის ეპარქია 366 200 ლარის ოდენობით დაფინანსდა. რელიგიური დღესასწაულების დასაფინანსებლად თანხა არ გამოყოფილა.**

რაც შეეხება გადაცემულ ქონებას, 2013 წლის 9 იანვრიდან 2014 წლის 24 აპრილის ჩათვლით, ქუთაისის მერიამ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებლურ ეკლესიას **უსასყიდლო აღნაგობის უფლებით²** გადასცა მიწის ნაკვეთები, საერთო ჯამში **90 140** კვ. მ. ფართობის. კერძოდ:

- ასათიანის ქ #119-ის სამხრეთი 500.0 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთი;
- თაბუკაშვილის ქ #205 სახლის წინ 638.0 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთი;
- ახალგზარდობის გამზ მე 7 შეს #4 ის დასავლეთით 489.0 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთი;
- ლომთათიძის ქ #2 ის ჩრდილოეთი 809.0 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთი;
- ლეჟავას ქ #6 ის ჩრდილოეთით 1595.0 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთი;
- ჭავჭავაძის ქ #83 ის სამხრეთით 426.0 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთი;
- მ.ჭავჭავაძის ქუჩის #2ა 524.16 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთი;
- ხარებავას ქ #19 ბ-ს სამხრეთით 1234.0კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთი;
- კ.გამსახურდიას ქ #65ა-ს ჩრდილოეთით 654.0 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთი;
- 2014 წელს ახალგზარდობის გამზ.მე 7 შეს.#2 ის ჩრდილოეთით 3066.0 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთი;
- ხარებავას ქ #19 ბ-ს დასავლეთით 256.0კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთი;
- ხარებავას ქ #19 ბ-ს სამხრეთით 275.0 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთი;
- ავტოქარხნის #23 სამხრეთ-დასავლეთით 827.0 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთი;
- აღმაშენებლის გამზირისა და თავისუფლების ქუჩის გადაკვეთის აღმოსავლეთ ნაკვეთი #1 - 361 კვ.მ. ფართის მიწის ნაკვეთი

² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 233-ე მუხლი აწესრიგებს აღნაგობის უფლებას, რომლის მიხედვითაც მიწის ნაკვეთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს ვადიან სარგებლობაში ისე, რომ მას ჰქონდეს ამ ნაკვეთზე ან მის ქვეშ რაიმე ნაგებობის აღმართვის უფლება, ასევე ამ უფლების გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის, თხოვების, გაქირავების უფლება (აღნაგობის უფლება).

2015 წლიდან ამ დრომდე ქუთაისის მერიას რელიგიური ორგანიზაციისთვის ქონება არ გადაუცია. ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ **ქუთაისი არის ერთადერთი იმერეთის მუნიციპალიტეტიდან, რომელმაც ეპარქიის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა მიწის გადაცემასთან დაკავშირებით.** ადგილობრივი ეპარქია ქუთაისში, ბუხაიძის ქუჩაზე 1400 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემას მომლოცველთა ცენტრის ასაშენებლად ითხოვდა, რაზეც მერიამ უარი იმით დაასაბუთა, რომ აღნიშნული ტერიტორია საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში იყო.

4.3. პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების შესახებ თანხმობის მიცემა და მუნიციპალიტეტის სახელით დადებული ხელშეკრულებების დამტკიცება.

მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის/სარგებლობის უფლებით მიმღების/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების შესახებ საკრებულოს თანხმობის მიცემის ან უარის თქმის შესახებ **არ უმსჯელია.**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერის წარდგინებით, მუნიციპალიტეტის სახელით ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით ქალაქ ქუთაისის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე გადაწყვეტილება **არ მიუღია**, ისევე როგორც გადაწყვეტილება არ არის მიღებული ისეთი გარიგების დადების თაობაზე, რომლის ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს.

4.4. ფიზიკური პირის ან კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის მუნიციპალიტეტის ქონების გადაცემის თაობაზე თანხმობა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხა და გადასაცემი ობიექტების გეგმა მერის წარდგინების საფუძველზე საკრებულომ 2015 წლის 25 თებერვალს მიიღო.

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54-ე მუხლის მიხედვით, მერი/გამგებელი საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის მოძრავი და უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის შესახებ.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობაში გადაცემის შესახებ **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე გაცემულია სულ 133 განკარგულება**, საიდანაც სამი განკარგულება ეხებოდა საქართველოს პარლამენტის ქუთაისის მაჟორიტარი წევრების (**დიმიტრი მხეიძის, კობა ნარჩემაშვილისა და გენადი მარგველაშვილის**) ბიუროებისათვის **უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით** ქონების გადაცემის საკითხს. აქვე აღსანიშნავია, რომ საკრებულომ 41-ჯერ მიიღო განკარგულება ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების მოქალაქეებისათვის სასყიდლიანი ან უსასყიდლო ფორმით გადაცემასთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს მიერ განკარგულების ფორმით გაცემული თანხმობის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის ქონება **35-ჯერ უსასყიდლო ფორმით** გადაეცა მერიის მიერვე დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებს, მაგალითად, **11-ჯერ** გადაეცა ქონება 2014 წელს დაფუძნებულ ა(ა)იპ-ს **“სპეციალურ სერვისებს”**. ამავე პერიოდში მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ქონების გადაცემა მოხდა მერიის მიერვე დაფუძნებულ კომერციული იურიდიული პირებისათვის, მაგალითად **შპს “საფეხბურთო კლუბ ტორპედო ქუთაისს”** გადაეცა თხოვნების ფორმით ავტობუსი, ასევე **შპს “ქართული ტრადიციები 2011-სათვის”** და **შპს “რამამ შენგელიას სახელობის სტადიონისთვის”** უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცათ უძრავი ქონებები.

4.5. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სანყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის სანყისი საფასურის განსაზღვრის წესების დადგენა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის მიხედვით³, საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენა, მუნიციპალიტეტის ქონების სანყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის სანყისი საფასურის განსაზღვრის წესების დადგენა;

2015 წლის 9 იანვარს ქუთაისის საკრებულომ მიიღო N65 დადგენილება, რომლითაც **განისაზღვრა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, სანყისი საპრივატიზაციო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის სანყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესი**. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აღნიშნულ დადგენილებაში **4-ჯერ** შევიდა ცვლილება.

4.6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნება და რეორგანიზაცია

ქუთაისის მერი, საკრებულოს თახმობით, იღებს გადაწყვეტილებას კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს თანხმობით დაფუძნდა **5** არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი:

1. ა(ა)იპ “ქალაქ ქუთაისის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი”;
2. ა(ა)იპ “სპეციალური სერვისები”;
3. ა(ა)იპ “ქალაქ ქუთაისის სამეფო კომპლექსი “ოქროს ჩარდახი”;
4. ა(ა)იპ “ქალაქ ქუთაისის ხელბურთის კლუბი “ ქუთაისი 2015”;
5. ა(ა)იპ “ქალაქ ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი”.

ამავე პერიოდში ქუთაისის საკრებულომ ა(ა)იპ “ქალაქ ქუთაისის ყინულის მოედანსა” და ა(ა)იპ “ქალაქ ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანებაში” **რეორგანიზაციის** განხორციელების შესახებ გასცა თანხმობა.

4.7. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფუძნება

საკვლევ პერიოდში ქ.ქუთაისის საკრებულომ **3** შპს-ს დაფუძნების თაობაზე მისცა თანხმობა ქ.ქუთაისის მერს.

1. შპს “პარკინგსერვისი”;
2. შპს “ საფეხბურთო კლუბი ქუთაისი”;
3. შპს “რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონი”.

3 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ე.გ. ქვეპუნქტი.

4.8. ქონების გადასახადისა და მოსაკრებლის შემოღება

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის მიხედვით - საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება.

- საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ქუთაისის საკრებულომ **3-ჯერ** მიიღო დადგენილება ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **ადგილობრივი გადასახადის შემოღების შესახებ**;
- ქუთაისის საკრებულომ 2015 წლის 30 სექტემბერს მიიღო N109 დადგენილება “ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის შეცვლის მიზნით, **სპეციალური/ზონალური/შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ**”;
- 2017 წლის 25 იანვარს N 158-ე დადგენილებით შემოღებულ იქნა **სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და განისაზღვრა ასევე მოსაკრებლის განაკვეთიც.**

4.9. საკრებულოს მიერ მიღებულ სამართლებრივი აქტებზე ზედამხედველობის განხორციელება

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 129-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების მიხედვით, სახელმწიფო ზედამხედველობა არის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიერ განხორციელებული საქმიანობა, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის კანონიერების და დელეგირებული უფლებამოსილების ჯეროვანი განხორციელების უზრუნველყოფა.

სამართლებრივი ზედამხედველობის ორგანოს მხრიდან 2014 წლის 14 ივლისიდან 2017 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით, მიღებულ იქნა **7 სამართლებრივი დასკვნა. აქედან, 6 დასკვნა შეეხებოდა საკრებულოს ნორმატიულ აქტებს, ხოლო 1 - სსიპ საკანონმდებლო მაცნეს პროგრამის მეშვეობით ხელმოწერის ახალ წესს.** საკრებულოს ინფორმაციით, ყველა დასკვნა გაზიარებულ იქნა მათ მიერ და ყველა აქტი მოყვანილია ზედამხედველობის ორგანოს რეკომენდაციებთან შესაბამისობაში.

თავი 5. კონტროლის ფუნქციის განხორციელება

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის **აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება**. ამავე კოდექსის 48-ე მუხლის მე-2-ე პუნქტის მიხედვით, **გამგებელი/მერი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე**.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის “გ” ქვეპუნქტისა და ქუთაისის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად კონტროლის განხორციელების მექანიზმებია:

- მერისთვის უნდობლობის გამოცხადება;
- საკრებულოს წევრის მიერ კითხვის დასმა და ინტერპელაცია;
- სხდომაზე მინწვევა;
- ანგარიშების მოსმენა;
- დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარება;
- მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე კონტროლი;
- ბიუჯეტის შესრულების კონტროლი.

საკვლევ პერიოდში გამოიკვეთა, რომ ქუთაისის მერმა **3-ჯერ** წარადგინა ანგარიში საკრებულოს წინაშე, **19-ჯერ** ისარგებლეს საკრებულოს წევრებმა შეკითხვის დასმის უფლებით 3 წლის განმავლობაში. **უნდა აღინიშნოს, რომ საკრებულომ არ მოგვანოდა ინფორმაცია ანგარიშვალდებული პირების სხდომაში მონაწილეობასთან დაკავშირებით**. ასევე, არ მოგვანოდა ინფორმაცია, როდის და რის შესახებ მოისმინა საკრებულომ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირთა ანგარიშები.

ამასთან, საკრებულომ “ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების შესახებ” მხოლოდ ერთხელ მიიღო გადაწყვეტილება.

5.1. ანგარიშების მოსმენა

მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება.⁴ მერი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე.⁵

საკრებულოს მიერ არ იქნა მოწოდებული ინფორმაცია, როდის და რის შესახებ მოისმინა საკრებულომ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირთა ანგარიშები. ასევე, საანგარიშო პერიოდში საკრებულოს წევრებს ანგარიშის რიგგარეშედ წარდგენის მოთხოვნა არ დაუყენებიათ.

4 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის “გ.ა” ქვეპუნქტი.


5 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 48-ე მუხლის მეორე პუნქტი.

5.2. შეკითხვის უფლებამოსილების გამოყენება

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს უფლება აქვს **შეკითხვით** მიმართოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, გამგებელს/მერს, სხვა თანამდებობის პირს და მიიღოს პასუხი. შესაბამისი ორგანო და თანამდებობის პირი ვალდებული არიან, ერთი კვირის ვადაში უპასუხონ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის შეკითხვას. კითხვის ავტორთან შეთანხმებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 დღით;

მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა 2014-2017 წლებში საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს მიმართ შეკითხვის დასმის უფლებით 19-ჯერ ისარგებლეს, აქედან კითხვის დასმის უფლება 10-ჯერ **ბესიკ ბრეგაძემ** (“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”) გამოიყენა, ხოლო 4-ჯერ შეკითხვა დასვა **ნატო ქათამაძემ** (“ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო”).

დიაგრამა 6. შეკითხვის უფლებამოსილების გამოყენება



საკრებულოს 16 წევრს შეკითხვის უფლება საერთოდ არ გამოუყენებია (ნიკოლოზ ლატარია, გალაქტიონ ტოროშელიძე, ლელა ქელბაქიანი, კახაბერ დვალისვილი, ლაშა გვენეტაძე, თეიმურაზ კიკვაძე, გელა გაბადაძე, ტარიელ მეთონიძე, რობიზონ წინწკალაძე, ვიქტორ დოლიძე, დავით წიტაიშვილი, სამსონ გუგავა, დავით ჯანაშია, დავით გოგისვანიძე, გიორგი უკლება, ამირან ძონენიძე).

5.3. ბიუჯეტის კონტროლი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების კონტროლი და ბიუჯეტის შესრულების შეფასება; **მერი შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტისა და ბიუჯეტში შესატანი ცვლილების პროექტებს** ასევე უზრუნველყოფს დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს **საკრებულოს წარუდგენს მერი** საბიუჯეტო წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს 2 თვის ვადაში. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშისა და აუდიტორული დასკვნის გამოქვეყნებიდან ორი კვირის ვადაში ხორციელდება საზოგადოებრივი აზრის შესწავლა რეგლამენტით დადგენილი ფორმების გამოყენებით. საკრებულო საზოგადოებრივ დარბაზთან ერთად განიხილავს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს საკრებულოს სხდომაზე წარუდგენს მერი ან მის მიერ დანიშნული უფლებამოსილი პირი, რომელიც საკრებულოს სხდომას წარუდგენს ანგარიშთან დაკავშირებით **გამოთქმულ შენიშვნებზე ახსნა-განმარტებას**. საკრებულო თანამომხსენებლის ფორმით ისმენს **დამოუკიდებელი აუდიტის დასკვნას** და **საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნას**, აგრეთვე საკრებულოს აპარატის უფროსის მოხსენებას **საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებთან დაკავშირებით** (საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ჩატარების შემთხვევაში). მომხსენებელთა და თანამომხსენებლის (თანამომხსენებელთა) მოსმენის შემდეგ იწყება დებატები.

ამ ეტაპების გავლის შემდეგ საკრებულო იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის წლიური ანგარიშის **დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ**. საკრებულოს მიერ 1 მაისამდე ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მიუღებლობა ნიშნავს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დაუმტკიცებლობას.

საკრებულოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში ქუთაისის საკრებულომ:

- 2013 წლის N 233 დადგენილებით დაამტკიცა “თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ” პროექტი.
- 2014 წლის N 59 დადგენილებით დაამტკიცა “თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის 2015 წლის ბიუჯეტის შესახებ” პროექტი.
- 2015 წლის N 114 დადგენილებით დაამტკიცა “თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის 2016 წლის ბიუჯეტის შესახებ” პროექტი.
- 2016 წლის N 151 დადგენილებით დაამტკიცა “თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ” პროექტი.

დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებები საანგარიშო პერიოდში **სულ 26-ჯერ** იქნა შეტანილი. კერძოდ, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა:

- 2014 წლის ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა 5-ჯერ.
- 2015 წლის ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა 8-ჯერ.
- 2016 წლის ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა 8-ჯერ.
- 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებები განხორციელდა 5-ჯერ.

ქუთაისის საკრებულომ **3-ჯერ** მოისმინა **ქუთაისის მერის ანგარიში**, რომლებიც ეხებოდა 2014, 2015 და 2016 წლების ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების საკითხს.

5.4 დამოუკიდებელი აუდიტი

საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ 1/3 უფლება აქვს მოითხოვოს დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევა. დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევის მოთხოვნაში უნდა მიეთითოს **საკითხთა ის წრე, რომელიც უნდა იქნეს შესწავლილი დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ**. დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში და დასკვნა წარედგინება საკრებულოს, ეგზავნება სახელმწიფო აუდიტის სამსახურს და ქვეყნდება საჯაროდ. საკრებულოს მიერ დამოუკიდებელი აუდიტორი შეიძლება მოწვეული იქნეს არაუმეტეს წელიწადში ერთხელ.

საანგარიშო პერიოდში საკრებულომ “ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების შესახებ” 2017 წლის 11 აგვისტოს მიიღო N 440 განკარგულება.

თავი 6. ინფორმაცია საკრებულოს წევრების შესახებ და მათი აქტივობა

საკრებულოს წევრთა აქტივობის მხრივ მნიშვნელოვანია რამდენიმე კომპონენტი, მათ შორის მათი მხრიდან სამართლებრივი აქტების ინიცირება, ასევე კონტროლის განხორციელება და სხდომებში მონაწილეობის საკითხი. **საკრებულოს მიერ არ იქნა მონოდებული ინფორმაცია მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობისა და ავტორების შესახებ, რამაც შეუძლებელი გახადა საკრებულოს ცალკეულ წევრთა აქტივობის შეფასება.**

საკრებულოს წევრთა ასაკი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად წარმომადგენლობითი ორგანოს საკრებულოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის შეუსრულდა 21 წელი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება იწყება მისი უფლებამოსილების ცნობის დღიდან და მთავრდება ახალარჩეული მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი შეკრებისთანავე ან ამ წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთანავე.

2017 წლის მდგომარეობით არსებული საკრებულოს წევრთა შემადგენლობის საშუალო ასაკი იყო 50 წელი. ყველაზე ასაკოვანი წევრი იყო გალაქტიონ ტოროშელიძე - 66 წელი, ხოლო ყველაზე ახალგაზრდა - ლაშა გვენეტაძე - 37 წლის.

საკრებულოს წევრთა განათლება და სპეციალობა

საკრებულოს წევრთაგან ერთდროულად ორი სპეციალობით განათლება მიღებული ჰქონდა საკრებულოს 8 წევრს. მათგან ყველაზე მეტი სამედიცინო და იურიდიული მიმართულების წარმომადგენლები იყვნენ.

საკრებულოს წევრების სხდომებში მონაწილეობა (საკრებულოსა და კომისიის სხდომები)

საკრებულოს წევრი აქტიურად უნდა იყოს ჩართული საკითხების განხილვაში და შესაბამისად კომისიებისა და საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის საკითხი ამ მხრივ მნიშვნელოვანია. კანონმდებლობის თანახმად, საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება, თუ არასაპატიო მიზეზით, ზედიზედ, 6 თვის განმავლობაში არ მონაწილეობდა საკრებულოს მუშაობაში.⁶ **ამ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოდან გაცდენების შესახებ მიღებული ინფორმაციიდან არ დგინდება სხდომების გაცდენა გამონაკლისი იყო თუ არა საპატიო მიზეზით.**

6 საკრებულოს რეგლამენტის მე-13 მუხლის მეოთხე პუნქტი

საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა


საკრებულოში ჩატარებული 71 სხდომიდან ყველაზე მეტი სხდომა გააყვინა:

- **გიორგი უკლება** (“ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”) - **50** სხდომა;
- **დავით გოგისვანიძე** - **43** გაყვინა. ის 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში “ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის” ქუთაისის მერობის კანდიდატი და პარტიული სიის პირველი ნომერი იყო.

ყველაზე ნაკლები სხდომა გააყვინა:

- **ვიქტორ დოლიძე** (“ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოდან”) - 1 სხდომა.
- **რობიზონ წინწკალაძე** (“ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოდან”) - 2 სხდომა.

დიაგრამა 7. საკრებულოს წევრთა სხდომების გაყვინის სტატისტიკა



საკრებულოს კომისიების სხდომებზე კომისიის წევრთა დასწრების მდგომარეობა

საკრებულოს რეგლამენტის 27-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს წევრი ვალდებულია დაესწროს კომისიის სხდომებს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - 2014 წლის 14 ივლისიდან 2017 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით ჩატარებული 47 სხდომიდან, ყველაზე მეტი (43) სხდომა გააყვინა **ამირან ძონენიძემ**, ხოლო ყველა სხდომას ესწრებოდა **ლელა ქელბაქიანი**.

იურიდიულ საკითხთა კომისიამ - საკვლევ პერიოდში 52 სხდომა ჩატარა, საიდანაც ყველა სხდომას ესწრებოდა **კახაბერ დვალისვილი**, ხოლო არც ერთ სხდომას არ დასწრებია **გიორგი უკლება**.

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ 2014 წლის 14 ივლისიდან 2017 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით ჩატარებული 65 სხდომიდან, ყველა სხდომას ესწრებოდა **გალაქტიონ ტოროშელიძე**, ხოლო ყველაზე მეტი - 58 სხდომა გააყვინა **დავით გოგისვანიძემ**.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიამ - საანგარიშო პერიოდში ჩატარა სულ 7 სხდომა, საიდანაც ყველა სხდომას დაესწრო **თეიმურაზ ნადირაძე**, **რობიზონ წინწკალაძე** და **ზაზა ლომინაძე**, ხოლო ყველაზე მეტი გაცდენა (3) ჰქონდა **დავით გოგისვანიძეს**.

კულტურის, განათლების, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის კომისიის მიერ ჩატარებული სხდომების შესახებ **ინფორმაცია არ მოუწოდებიათ**.

თავი 7. ქალების მონაწილეობა საკრებულოს საქმიანობაში

მე-5 მოწვევის საკრებულოს 2017 წლის შემადგენლობაში 25 წევრიდან **3** ქალი იყო: **ლელა ქელბაქიანი, ირმა პეტრიაშვილი, ნატო ქათამაძე**. სამივე მათგანი პარტიის “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს” წევრები და ასევე მაჟორიტარული წესით არჩეულები პირები იყვნენ.

საკრებულოს წევრი ქალებიდან, 2 წევრი **კომისიის თავმჯდომარედ იყო არჩეული:**

- ლელა ქელბაქიანი - საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ.
- ირმა პეტრიაშვილი - კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიის თავმჯდომარედ.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საკრებულოს წევრ ქალების სახელზე შემოსული იქნა **170** განცხადება, აქედან 96 განცხადება - ნატო ქათამაძის სახელზე, 25 - ლელა ქელბაქიანი, 49 - ირმა პეტრიაშვილი.

2014 წლის 14 ივლისიდან 2017 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში ირმა პეტრიაშვილმა 71 ჩატარებული სხდომიდან გააყვინა **18**, ნატო ქათამაძემ - **26**, ლელა ქელბაქიანმა - **26**.

კონტროლის განხორციელების მხრივ შეკითხვის უფლებით ისარგებლეს **ნატო ქათამაძემ** და **ირმა პეტრიაშვილმა**. კერძოდ, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში **ნატო ქათამაძემ 4-ჯერ** ისარგებლა შეკითხვის დასმის უფლებით ანგარიშვალდებული ორგანოს მიმართ. იგი დაინტერესდა ადგილობრივი თვითმმართველობის ბალანსზე არსებული ქონების (ადრესატი: ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი ქონების მართვის სამსახური), დასაქმების (ადრესატი: მერიის ადმინისტრაციულ სამსახური), ოლქის ტერიტორიაზე არსებული ბინის პრობლემის საკითხზე და ქონების გასხვისების შესახებ ინფორმაციით (ადრესატი: მერია).

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ერთხელ დაუსვა შეკითხვა **ირმა პეტრიაშვილმა** ქუთაისის მერიის საბინაო, ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურს 2015 წლის პროექტზე დახარჯულ თანხებთან დაკავშირებით.

თავი 8. მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამდებობის პირები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში, მათ შორის, კოლექტიური საჯარო დაწესებულების სხდომებში, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის.

საკრებულოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, საკრებულოს თანამდებობის პირები და საკრებულოს წევრები სისტემატურად აწყობდნენ მოქალაქეთა მიღებას საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში, **ინფორმაცია საკრებულოს წევრების მიერ ამომრჩეველთა მიღების დღის, ადგილისა და დროის მითითებით განთავსებული იყო საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში.**

საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების ღია სხდომებზე ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს დაესწროს ან მისი სურვილის შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს სხდომის მუშაობაში. მიმდინარე მონვევის პერიოდში, **საკრებულოს სხდომაზე სიტყვით გამოვიდა 25 მოქალაქე.**

ასევე, მიმდინარეობდა საკრებულოს სხდომების **პირდაპირ ეთერში ტრანსლირება** სოციალური ქსელის მეშვეობით.


2015-2016 წლებში საკრებულოში **არცერთი პეტიცია არ დარეგისტრირებულა.**

თავი 9. კომისიების, საბჭოებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების საქმიანობა


9.1. საკრებულოს კომისიები

2014 წლის ივლისიდან - 2017 აგვისტოს ჩათვლით საკრებულოს კომისიების **171** სხდომა ჩატარდა, საიდანაც **კვორუმის არარსებობის გამო 3** საკრებულოს კომისიის სხდომა ჩაიშალა.


დიაგრამა 8. საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომები წლების მიხედვით




დიაგრამა 9. იურიდიულ საკითხთა კომისიის ხდომეები წლების მიხედვით



დიაგრამა 10. ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მუშაობის საკითხთა კომისიის ხდომეები წლების მიხედვით



**დიაგრამა 11. ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის
სხდომები წლების მიხედვით**



საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის მიერ საკვლევ პერიოდში მომზადდა 17 დასკვნა, ასევე კომისიამ განიხილა 17 სამართლებრივი აქტის პროექტი. **კონკრეტულად რა საკითხს ეხებოდა დასკვნა ან/და სამართლებრივი აქტის პროექტი დეტალური ინფორმაცია საკრებულოს არ მოუწოდებია.**

კომისიის მიერ ასევე მოსმენილ იქნა ქუთაისის მერიის სამსახურების მიერ განეული საქმიანობის შესახებ ანგარიში და ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოამზადა დასკვნები. თუმცა საკრებულოს არ მოუწოდებია კონკრეტული ინფორმაცია განხილვებთან დაკავშირებით.

იურიდიულ საკითხთა კომისიამ საანგარიშო პერიოდში განიხილა 117 საკითხი, შესაბამისად მომზადებულია 117 დასკვნა. საკრებულოს მიერ მოწოდებულ დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ იურიდიული საკითხთა კომისიის თითქმის ყველა სხდომაზე მონაწილეები იყვნენ აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლები. მათ შორის მერიის ადმინისტრაციულ საკითხებთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ სხდომებს ესწრებოდა ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - ზვიად ჯავახია, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ბაქარ ჭეიშვილი, მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურის უფროსი ვლადიმერ ნაკაშიძე და მისი მოადგილე ჯონი ანაბიძე, ასევე სხდომებზე მონაწილე პირები იყვნენ მერიის ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელები, მათი წარმომადგენლები ან იურისტები.

იურიდიულ საკითხთა კომისიას არ მოუწოდებია წარდგენილი და განხილული სამართლებრივი დასკვნების შესახებ დეტალური ინფორმაცია, ასევე აღმასრულებელი ორგანოდან წარმოდგენილი პირების დასწრების სტატისტიკა.

ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიამ განიხილა 11 საკითხი. კომისიის სხდომებზე სხვადასხვა დროს მოწვეულები იყვნენ ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კოტე ქავთარაძე, მერიის ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსი - იოსებ ჩიჭავაძე, ა(ა)იპ “ქალაქ ქუთაისში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის” დირექტორი მაია ნადარეიშვილი. მოცემულ შემთხვევაშიც, ორგანიზაციას არ ჰქონდა შესაძლებლობა დეტალურად შეესწავლა კომისიის მიერ განხილული საკითხები, რამდენადაც საკრებულოს ეს ინფორმაცია არ მოუწოდებია.

9.2. სათათბირო ორგანო

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის⁷ მიხედვით საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება ცალკეული საკითხების შესასწავლად და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით **სათათბირო ორგანოების (საბჭო, კომიტეტი და სხვა) შექმნა და მათი საქმიანობის წესის განსაზღვრა.**

“საქართველოს გენდერული თანასწორობის შესახებ” კანონის მე-13-ე მუხლის მიხედვით საკრებულო მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის მუნიციპალურ გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო.

ქუთაისის საკრებულოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, **ქუთაისის საკრებულოში სათათბირო ორგანო (საბჭო, კომიტეტი და სხვა) არ შექმნილა, მათ შორის არც გენდერული თანასწორობის საბჭო არ არის შექმნილი.**

9.3. დროებითი სამუშაო ჯგუფი

საკრებულო უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში, ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით, შექმნას დროებითი სამუშაო ჯგუფები. დროებითი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელსა და წევრებს სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს, საკრებულო ირჩევს თავისი შემადგენლობიდან. დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა შეიძლება გაგრძელდეს თითო თვით, თუმცა უფლებამოსილების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2016 წლის 25 მაისს მიიღო განკარგულება “ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ **2006-2015 წლებში მინის ნაკვეთისა და შენობა-ნაგებობის გასხვისების კანონიერების შესწავლის მიზნით**, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის არჩევის შესახებ”. 2016 წლის 29 იანვარს განკარგულებით სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა დაამტკიცა. საკრებულომ 2017 წლის 25 იანვარს **სამუშაო ჯგუფის მიერ განუული საქმიანობის ანგარიში მოისმინა** და მიიღო განკარგულება **ჯგუფისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.**

თავი 10. საკრებულოს თანამდებობის პირთა კავშირი ბიზნესთან, არადეკლარირებული ქონება და შეუთავსებელი საქმიანობა

საკრებულოს საქმიანობის შესწავლისას მნიშვნელოვანია საკრებულოს წევრთა ბიზნესთან კავშირის დადგენა, არადეკლარირებული ქონებისა და შეუთავსებელი საქმიანობის შემთხვევების მონიტორინგი. ამ მიმართულებით შევისწავლეთ საკრებულოს თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციები და საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე არსებული საჯარო ინფორმაცია.

საკვლევის პერიოდის განმავლობაში გამოიკვეთა 7 თანამდებობის პირი, რომლებსაც კავშირი ჰქონდათ ბიზნეს საქმიანობასთან. შვიდივე თანამდებობის პირი “ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს” წევრები იყვნენ. მათ შორის, 2 თანამდებობის პირს, კერძოდ, ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - **ბექა ყანჩელსა** და ქუთაისის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე - **ლელა ქვლბაქიანს** სრულყოფილად ჰქონდათ ასახული თავიანთი ბიზნეს წილები დეკლარაციებში. არასრულად შეავსო დეკლარაცია ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ნიკოლოზ ლატარიაშვილმა**, ხოლო დეკლარაციაში საერთოდ არ მიუთითეს თავიანთი ბიზნეს წილები: ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარემ - **დავით დვალმა**, ქუთაისის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარემ - **თეიმურაზ ნადირაძემ** და ქუთაისის საკრებულოს კომისიის კიდევ ერთმა თავმჯდომარემ - **ირმა პეტრიაშვილმა**.

ბიზნესკომპანიაში ხელმძღვანელ პოზიციას, კერძოდ, **დირექტორის** პოზიციას **შპს “ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კოლეჯში”** იკავებს “ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს” წევრი **ირმა პეტრიაშვილი**.

კანონმდებლობის მოთხოვნა და პასუხისმგებლობა

ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის თანახმად, აღნიშნული კანონის მიზნებისათვის თანამდებობის პირში იგულისხმება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანამდებობის პირები, რომლებიც არიან:

- საკრებულოს თავმჯდომარე;
- საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
- საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე;
- საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე.

კანონის შესაბამისად პირი ვალდებულია თანამდებობაზე განწესებიდან ორი თვის ვადაში წარადგინოს საჯარო სამსახურის ბიუროში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია. ამასთანავე, მთავრობის 2014 წლის 12 თებერვლის დადგენილების შესაბამისად განსაზღვრულია იმ თანამდებობის პირთა რეესტრი, რომელთათვისაც სავალდებულოა თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციის შევსება, აღნიშნული დადგენილების შესაბამისად დეკლარაციის შევსების ვალდებულება აქვთ:

- საკრებულოს თავმჯდომარეს;
- თავმჯდომარის მოადგილეს;
- საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეებს.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირის თანამდებობრივი შეუთავსებლობის საკითხები წესრიგდება „საჯარო დანებსებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით, რომლის თანახმად:

- საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, ეკავოს რაიმე თანამდებობა რომელიმე საწარმოში.
- იგი ვალდებულია მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამსახურის გავლის ვადით სხვას გადასცეს სამართავად მის საკუთრებაში არსებული სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის საწარმოს კაპიტალის წილი (აქციათა პაკეტი).
- საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს, იყოს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტის მუდმივმოქმედი ხელმძღვანელი, საკონტროლო, სამეთვალყურეო და სარევიზიო ორგანოების წევრი.
- მას ასევე არ აქვს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების უფლება. **მას მხოლოდ აქციებისა და წილის ფლობა შეუძლია.**

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში სრული და სწორი მონაცემების შეტანის და დეკლარაციის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგს ახორციელებს საჯარო სამსახურის ბიურო. თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია უარყოფითად ფასდება დეკლარაციაში არასრული და არასწორი მონაცემების, აგრეთვე, სპეციალურ კანონმდებლობასთან შეუსაბამო მონაცემის არსებობის გამოვლენის შემთხვევაში. **დეკლარაციაში დარღვევის არსებობის შემთხვევაში თანამდებობის პირი ჯარიმდება 1000 ლარით.** გარდა ამისა, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში არასრული ან არასწორი მონაცემის განზრახ შეტანის შემთხვევაში **დანაშაულის ნიშნების არსებობისას ბიურო ვალდებულია, შესაბამისი დეკლარაცია და წარმოების მასალები შემდგომი რეაგირებისათვის სათანადო სამართალდამცავ ორგანოს გადაუგზავნოს.**

საკრებულოს წევრი არის თანამდებობის პირი, რომელსაც ევალება ქონებრივი დეკლარაციის შევსება. 2014 წლის 14 ივლისიდან 2017 წლის 22 თებერვლამდე საკრებულოში იყო **14 თანამდებობის პირი**, ხოლო 2017 წლის 22 თებერვლიდან ფრაქცია “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” გაუქმების შემდეგ, **საკრებულოში 13 თანამდებობის პირი დარჩა.**

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ქალაქ ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის ორი მოადგილისა და საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების სამეწარმეო საქმიანობა და მათი ბიზნეს წილების დეკლარაციაში სრულყოფილად ასახვის საკითხი.

არადეკლარირებული წილები და დირექტორის სტატუსის ქონა

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე - დავით დვალი

საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით დავით დვალი შპს “დებ ინვესტის” წილის მესაკუთრეა, რომლის შესახებაც არ მიუთითა დეკლარაციაში.

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ნიკოლოზ ლატარია

ნიკოლოზ ლატარია არის შპს “ნიკთილი თერჯოლას” 50%-იანი წილის მფლობელი, ასევე შპს “გიოს” 40%-იანი წილისა და შპს “ნიკთილი 9”-ის 100%-იანი წილის მფლობელი. ასევე შპს “ფრემ ფუდის” 55%-იანი წილის მესაკუთრე. მან 2017 წლის სექტემბერში შევსებულ დეკლარაციაში არ მიუთითა შპს “ნიკთილი 9”-ის და შპს “ფრემ ფუდის” წილების შესახებ.

ქუთაისის საკრებულო, კომისიის თავმჯდომარე - თეიმურაზ ნადირაძე

თეიმურაზ ნადირაძე “შპს დასავლეთ საქართველოს ნეირორეაბილიტაციის ცენტრი თემიდა-97-ს” 50 % წილის მესაკუთრეა. მას აღნიშნული შპს-ს შესახებ არ აქვს მითითებული 2017 წლის ოქტომბერში შევსებულ დეკლარაციაში.

ქუთაისის საკრებულო, კომისიის თავმჯდომარე - ირმა პეტრიაშვილი

ირმა პეტრიაშვილმა 2017 წლის ივნისში დააფუძნა “ შპს ეროვნული მოძრაობის მუზეუმი “რომლის 100% წილის მესაკუთრე და დირექტორი თავადაა. ის ასევე გახლავთ “შპს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კოლეჯის” მენილე და დირექტორი; არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი შპს-ს შესახებ ინფორმაცია არ აქვს 2017 წლის სექტემბერში შევსებულ დეკლარაციაში მითითებული.

დეკლარირებული წილები

ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ბექა ყანჩელი

ბექა ყანჩელი არის შპს “GRB-ის” 30 % წილისა და შპს აუდიტორული კომპანია GRB-ის 12.25% წილის მესაკუთრე.

ქუთაისის საკრებულო, კომისიის თავმჯდომარე - ლელა ქელბაქიანი

ლელა ქელბაქიანი “შპს ქუთაისის უნივერსიტეტის” 50% წილის მესაკუთრეა, მის მიერ შევსებული დეკლარაციის მიხედვით ის აღნიშნულ უნივერსიტეტში სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო პროექტების კონსულტანტის პოზიციასაც იკავებს, საიდანაც სოლიდურ შემოსავალს იღებს.

პრობლემები და რეკომენდაციები:

კონტროლის განხორციელება

- საკრებულოს წევრები უფრო აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი საზედამხედველო საქმიანობაში, კერძოდ უფრო ხშირად უნდა იყენებდნენ კითხვის/შეკითხვის დასმის უფლებას, იბარებდნენ საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების თანამდებობის პირებს.

საკრებულოს სხდომები

- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უნდა დახვეწოს მუშაობის საორგანიზაციო მხარე, შეამციროს რიგგარეშე სხდომების რაოდენობა და მასზე განსახილველი საკითხების რიცხვიც, რადგან აღნიშნული ხელს უშლის მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას, ინტერესთა ჯგუფების მობილიზებას, სხდომაზე განსახილველი საკითხებისთვის მომზადების შესაძლებლობას, სათათბირო ორგანოს გამჭვირვალობას.

ანგარიშვალდებულება

- საკრებულოს, ისევე როგორც კომისიების სხდომებზე საკრებულოს წევრთა დასწრების მდგომარეობა საგრძნობლად უნდა გაუჭობესდეს. მიგვაჩნია, რომ ყველა პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს და ესწრებოდნენ სხდომებს. ამასთან, თითოეული საკრებულოს წევრის მხრიდან სხდომის გაცდენის საპატიო თუ არა საპატიო მიზეზები უნდა იყოს გამორკვეული და სათანადო ღონისძიებებიც გამოყენებული.
- თანამდებობის პირთა მიერ დეკლარაციების შევსება გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს, ამასთან, დეკლარაციების არასრულად შევსება კორუფციის საფრთხესაც შეიცავს. ამიტომაც აუცილებელია, რომ თანამდებობის პირებმა დეკლარაცია სრულად შეავსონ.

საბჭოების საქმიანობა

- ქუთაისის საკრებულოში უნდა შეიქმნას გენდერული თანასწორობის საბჭო საკრებულოს უფლებამოსილებისთვის მიკუთვნიებული ცალკეული საკითხების შესასწავლად და შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად.
- საკრებულომ უნდა დაიცვას კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნა და დროებითი სამუშაო ჯგუფის საქმიანობის საერთო ვადა არ უნდა იყოს 6 თვეზე მეტი.

გამჭვირვალობა

- საკრებულოს შემდგომი საქმიანობის პროცესში აუცილებელია, რომ მათ ჰქონდეთ ოფიციალური ვებგვერდი, სადაც განთავსებული იქნება მათი საქმიანობის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია, რომელზეც მათ შორის უნდა გამოქვეყნდეს შემდეგი სახის ინფორმაცია:
- სამართლებრივი აქტების თავდაპირველი ვერსია ინიციატორის/ავტორის მითითებით, განმარტებითი ბარათები, სხდომებზე გამოთქმული შენიშვნების ამსახველი დოკუმენტი;
- კონტროლის განხორციელების მიზნით დასმული კითხვები/შეკითხვები;
- საკრებულოს წევრთა სხდომებში მონაწილეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია, ინდივიდუალურად წევრთა მიერ სხდომების საპატიო და არასაპატიო მიზეზით გაცდენის შესახებ;
- საკრებულოს წევრთა მიერ განეული წარმომადგენლობით ხარჯების შესახებ ინფორმაცია;
- წინა მონვევის საკრებულოების შესახებ ინფორმაცია;
- ცალკე განთავსდეს საკრებულოს წევრთა აქტივობების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის ამომრჩევლებთან შეხვედრის შესახებ;
- საკრებულოს წევრების, თანამდებობის პირების, საკრებულოს კომისიების და ფრაქციების მიერ განეული საქმიანობის ანგარიშები და სხდომის ოქმები
- მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს მხრიდან მოხდეს ზუსტი და სრული ინფორმაციის გაცემა, რათა საკრებულოს საქმიანობა და ცალკეული სუბიექტების აქტივობისა და განეული სამუშაოს შესახებ ინფორმაცია საზოგადოებისათვის იყოს გამჭვირვალე და ღია.